სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ 2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის იანვარი - ივნისის პერიოდის შუალედური ანგარიში

29.06.2026 წ.

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის 2026 წლის სამოქმედო გეგმით გაწერილია დაწესებულების მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანები და აქტივობები. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ხარისხის მართვის მენეჯერისა და შესაბამისი პირების მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

სტრატეგიული მიზანი I - შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (იმიტირებული, კოოპერაციული, დუალური, ინტეგრირებული), პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა / პილოტირება

- **ამოცანა** - *შრომის ბაზრის მოკვლევა*
- ✓ **აქტივობა** - *სახელმწიფო და კერძო სტრუქტრის წარმომადგენლების გამოკითხვა*
- ✓ **აქტივობა** - *კურსდამთავრებულთა და დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა*

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ხელმძღვანელობა და ადმინისტრაციის წევრები მუდმივად არიან კავშირზე როგორც სახელმწიფო და კერძო სტრუქტურის წარმომადგენლებთან, ისე დაწესებულების კურსდამთავრებულებთან შრომის ბაზრის საჭიროებებისა და კოლეჯის ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, იმის გამო, რომ აღნიშნულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ხოლო დღეის მდგომარეობით პოზიცია ვაკანტურია, ამ ეტაპზე აქტივობით გათვალისწინებული კვლევა ვერ ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით, მითითებული აქტივობების განხორციელება მთელი წლის მანძილზეა შესაძლებელი საჭიროებიდან გამომდინარე და კოლეჯი მომდევნო 6 თვის განმავლობაში უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობის განხორციელებას.

- ❖ **შედეგი: ვერ შესრულდა**

- ✓ **ამოცანა - შემუშავებული პროგრამების განვითარება**
- ✓ **აქტივობა - პროფესიული სანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება**

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრმა“ 2025 წელს დაიწყო მზადება სამი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებისა“ და „მსუბუქი ავტომობილის შიგაწვის ძრავას შეკეთების“ დამატებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროგრამები შემუშავდება ა(ა)იპ პროფესიული უნარების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე. პროგრამების განსახორციელებლად კოლეჯმა წარდგენილი მიზანშეწონილობის საფუძველზე, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, მოიპოვა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა აღნიშნული პროგრამების განხორციელების მიზნით. მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობს პროგრამების რესურსების შევსებაზე მუშაობა.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო და საჯარო სექტორთან პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავების მიზნით. დაწესებულება აქტიურად მუშაობს რამდენიმე პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების თაობაზე. ამასთან, ვინაიდან პასუხისმგებელი პირი იმყოფება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში აღნიშნული აქტივობის განხორციელება დაიგეგმება მომდევნო 6 თვის განმავლობაში.

- **შედეგი: ნაწილობრივ შესრულდა**

- ✓ **აქტივობა** - შემუშავებული პროგრამების განხორციელება და მონიტორინგი

2025 წლის დეკემბერში სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრმა“ წარმატებით მოიპოვა მორიგი რეავტორიზაცია 6 წლის ვადით, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას უფლება აქვს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები:

- ბუღალტრული აღრიცხვა (მეხუთე დონე), (მილევადი);
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მეოთხე დონე), (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით), (მილევადი);
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მეოთხე დონე), (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით);
- გრაფიკული დიზაინი (მეოთხე დონე), (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით);
- გრაფიკული დიზაინის შესრულება (მეოთხე დონე), (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით), (მილევადი);
- ინდუსტრიული დიზაინის შესრულება (მეოთხე დონე);
- აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება (მეოთხე დონე), (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით);
- Front-end დეველოპმენტი“ (მეოთხე დონე), (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით);
- გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება (მეოთხე დონე), (დუალური მიდგომით);
- ადმინისტრაციული სერვისები (მეოთხე დონე);
- მოდის ტექნოლოგია და დიზაინი (მეოთხე დონე);
- საფინანსო სერვისები (მესამე დონე), (მილევადი);
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (მესამე დონე);
- ინფორმაციის ტექნოლოგია (მესამე დონე), (მილევადი);
- სამკერვალო წარმოება (მესამე დონე), (მილევადი);
- მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სერვისების შეკეთება (მესამე დონე), (მილევადი);
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება (მესამე დონე), (მილევადი);
- მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება (მესამე დონე), (მილევადი);
- ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზისდამცავი სისტემების მონტაჟი (პროფესიული მომზადების პროგრამა).

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ადმინისტრაცია (სასწავლო პროცესსა და მატერიალურ რესურსებზე პასუხისმგებელი პირები, საინფორმაციო სისტემის

ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტი, ქსელის ადმინისტრატორი, ბიბლიოთეკარი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში მონიტორინგს უწევენ პროგრამების მიმდინარეობის პროცესს, აკონტროლებენ რამდენად წესრიგშია სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და სახელოსნოები, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და მასალა - ნედლეული, ინტერნეტის მიწოდება, კომპიუტერული ტექნიკა და ბიბლიოთეკა. სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი ამოწმებს სასწავლო გეგმისა და ცხრილის მიხედვით დაგეგმილ სასწავლო პროცესს, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ არასაპატიოდ გაცდენილ მეცადინეობას.

2026 წლის იანვარი - ივნისის პერიოდში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში, მათი ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ადაპტირდა გარკვეული მოდულები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა ინდივიდუალურ შესაძლებლობების გათვალისწინებით. ადაპტირების ფარგლებში სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“) 11 (თერთმეტი) სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავდა და სასწავლო პროცესში დაინერგა 64 (სამოცდაოთხი) ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, პრაქტიკული მეცადინეობების პროცესში აქტიურად იქნა ინტეგრირებული და გამოყენებული კოლეჯის ბაზაზე არსებული დამხმარე ტექნოლოგიები, კერძოდ: სპეციალური ადაპტირებული კლავიატურა და ოპტიკური გამადიდებელი ხელსაწყო (ლუპა). აღნიშნულმა უზრუნველყო სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა. მიმდინარე ეტაპზე არსებული ტექნიკური რესურსი სრულად აკმაყოფილებს სასწავლო პროცესის მოთხოვნებს, რის გამოც დამატებითი რესურსების შესყიდვის ან განახლების საჭიროება არ არსებობს.

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების მიმდინარეობას ზედამხედველობას უწევს კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, ამოწმებს მეცადინეობების პროცესს, კონსულტირებას უწევს როგორც მსმენელებს, ისე განმახორციელებელ პირებს.

- **შედეგი: შესრულდა**

- ✓ **აქტივობა** - *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების მიზნით პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროფესიული სტუდენტების / მსმენელების, კურსდამთავრებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვა*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების მიზნით, კოლეჯი გარკვეული პერიოდულობით ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის განმახორციელებელი პირების, როფესიული სტუდენტების/მსმენელების, კურსდამთავრებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვას. ამ ეტაპისთვის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გამოიკითხნენ პროფესიული სტუდენტები ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილი კომპონენტების ფარგლებში, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ნაწილში. კვლევაში 258 აქტიური პროფესიული სტუდენტიდან მონაწილეობა 81 პირმა მიიღო. კვლევის ანალიზის თანახმად, პროფესიული სტუდენტების უმრავლესობის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ყველა კომპონენტში დადებითად შეფასდა. შეფასების შედეგები და გაცემული რეკომენდაციები წარედგინა კოლეჯის დირექტორს. პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა იგეგმება 2026 წლის ივლისის თვეში, ხოლო კურსდამთავრებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციებისა - წლის ბოლომდე. რაც შეეხება პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, მათ შეფასება ყოველი მიღების ფარგლებში

ხორციელდება (ბოლო მიღების ფარგლებში სწავლა 2025 წლის სექტემბერში დასრულდა). ახალი ნაკადი სწავლას ივლისში დაიწყებს და სექტემბერში დაასრულებს.

- **შედეგი: შესრულდა**

სტრატეგიული მიზანი II - ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

- **ამოცანა -** *კოლეჯში დასაქმებული პერსონალის საჭიროებათა კვლევა*
- ✓ **აქტივობა** - *კოლეჯში დასაქმებული პერსონალის გამოკითხვა მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით და კვლევის შედეგების ანალიზი*

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ პერიოდულად ატარებს დასაქმებული პერსონალის საჭიროებების კვლევას. 2026 წლის მაისის თვეში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმებული პერსონალის საჭიროებების კვლევა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 15 პროფესიული განათლების მასწავლებელმა და ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმებული პერსონალის 12 წარმომადგენელმა. კვლევის შედეგები გაანალიზდა ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, შემუშავდა რეკომენდაციები და შემდგომი რეაგირების მიზნით, წარედგინა კოლეჯის დირექტორს, ხოლო კოლეჯის საქმისმწარმოებლის მიერ (რომელსაც ფუნქცია-მოვალეობებით აკისრია პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა) კვლევის ანალიზისა და შედეგების გათვალისწინებით შედგა პერსონალის განვითარების გეგმა.

- **შედეგი: შესრულდა**

- **ამოცანა -** *კვლევის შედეგების გათვალისწინებით ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა*
- ✓ **აქტივობა -** *ტრენინგის/განმავითარებელი აქტივობის დაგეგმვა/ჩატარება*

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ ორიენტირებულია დასაქმებული პერსონალის განვითარებაზე. კოლეჯის ხელმძღვანელობა მუდმივად გამოთქვამს მზადყოფნას ჩართოს მასთან დასაქმებული პირები როგორც გარეპროვაიდერის, ისე შიდა რესურსებით ორგანიზებულ ტრენინგებსა და სწავლებაში. ხარისხის მართვის მიერ ჩატარებული პერსონალის საჭიროებების შესახებ კვლევის ანალიზისა და შედეგების გათვალისწინებით, კოლეჯის საქმისმწარმოებლის მიერ (რომელსაც ფუნქცია-მოვალეობებით აკისრია პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა) დგება პერსონალის განვითარების გეგმა, რომელშიც გაწერილია იმ ტრენინგებისა და განმავითარებელი აქტივობების განრიგი, რაც აუცილებელია პერსონალის განვითარებისათვის, თუმცა, გარდა განმავითარებელი გეგმისა, კოლეჯი დამატებით აქტივობებსაც სთავაზობს დასაქმებულ პერსონალს. 2026 წლის იანვარი - ივნისის პერიოდში განხორციელდა შემდეგი განმავითარებელი ღონისძიებები:

27.01.2026 - 28.01.2026 - ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტის ორგანიზებით, კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერმა, მარინე წიკლაურმა გაიარა ტრენინგი თემაზე „ექსტრაკურიკულური აქტივობები და დამსაქმებელთან კომუნიკაციის ეფექტიანი გზები”;

29.01.2026 - „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა, ლევან ჭუმბურიძემ, რომელიც ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში იმყოფებოდა ესტონეთში, გამართა შეხვედრა თემაზე „ესტონეთის რესპუბლიკის პროფესიული განათლების მოდელი და პროფესიული სასწავლო დაწესებულებების სწავლების მეთოდები“, სადაც კოლეგებს გაუზიარა ესტონეთში მიღებული საერთაშორისო გამოცდილება;

02.04.2026 - კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, თეა ორმოცაძის მიერ აუტიზმის ცნობადობის დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „დავინახოთ შესაძლებლობები და არა შეზღუდვები“;

08.05.2026 -კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის, თამარ გიორგობინის ორგანიზებითა და სასწავლო პროცესის მენეჯერ მარინე წიკლაურთან კოორდინაციით, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შედგა შეხვედრა თემაზე - “ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შეფასების მიდგომები“. შეხვედრაზე აქცენტი გამახვილდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შეფასების სპეციფიკაზე, შეფასების ქულობრივ გრადაციასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე;

19.05.2026 –კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა ანამარია ბაგალიშვილმა გამართა შეხვედრა პერსონალური მონაცემთა დაცვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით;

20.05.2026 - კოლეჯის საინფორმაციო სისტემის ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტის, გრაჩიკ მკრტჩიანის მიერ ჩატარდა ტრენინგი თემაზე „კომპიუტერთან მუშაობის წესები და პირადი ინფორმაციის დაცვა“;

29.05.2026 - კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, თეა ორმოცაძის მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის ცნობადობის დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ფსიქიკური ჯანმრთელობა - გზა საკუთარი თავის გაცნობიდან კეთილდღეობამდე";

11.03.2026 -12.03.2026 – საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორპსის“ ორგანიზებით კოლეჯში გაიმართა ორდღიანი ტრენინგი თემებზე „ონლაინ ძალადობის პრევენცია და პირადი მონაცემების დაცვა“ და „შესავალი ელექტრონულ კომერციაში“;

26.03.2026 - კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა გიორგი ბარნოვმა ჩაატარა ტრენინგი თემაზე „სახანძრო უსაფრთხოება“;

08.06.2026 - 12.06.2026 - საქმისმწარმოებელმა მარიამ გაბარაშვილმა გაირა სემინარი თემაზე „საქმისწარმოება და საარქივო საქმე“, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ეროვნული არქივის ორგანიზებით ჩატარდა;

25.06.2026 - კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯრის მარინე წიკლაურის მიერ ჩატარდა სწავლება თემაზე „სასწავლო პროცესის მართვა და დაგეგმვა“ (კალენდარული გეგმის შედგენა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდები და მექანიზმები);

26.06.2026 – „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის, გიორგი მაღრაძის მიერ ჩატარდა ტრენინგი თემაზე „საოფისე პროგრამების შესაძლებლობები, პრაქტიკულ გამოყენება, დეტალები და თავისებურებები“.

- **შედეგი: შესრულდა**

- **ამოცანა** - *პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი პირების საჯარო ლექციების ორგანიზება*

- **აქტივობა** - *საჯარო ლექციების დაგეგმვა და ჩატარება*

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების განმახორციელებელი პირები მუდმივად გამოთქვამენ მზაობას საჯარო ლექციების ჩატარებასთან დაკავშირებით. 2026 წლის პირველ ნახევარში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების მიერ ჩატარდა შემდეგი საჯარო ტიპის ლექციები:

08.02.2026 - „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ილია სარხოსიდის ხელმძღვანელობით, პროფესიულმა სტუდენტებმა გამართეს დასკვნითი ლექცია, სადაც ინდივიდუალურად წარმოადგინეს საკუთარი პრაქტიკული ნამუშევრები. გარდა ამისა, საგამოფენო სივრცეში მოეწყო მათ მიერ შექმნილი ნახატების გამოფენა;

04.03.2026 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურების“ დუალური მიდგომის N308 ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა პროფესიული განათლების მასწავლებელთან, თამაზ ისაკაძესთან ერთად გამართეს ღია ლექცია თემაზე „V8 ტიპის უახლესი მოდიფიკაციის კონდიცირების სისტემები“. ლექციის ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია, სადაც დეტალურად განიხილეს კონდიცირების თანამედროვე სისტემების მუშაობის პრინციპები, უახლესი ტექნოლოგიები და მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები. აღნიშნული ლექციის მიზანი იყო პროფესიული სტუდენტების თეორიული ცოდნის დემონსტრირება, რომელიც სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში დამსაქმებელთან რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების მზაობას გამოხატავდა;

20.03.2026 - ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მოქალაქეობის“ პროფესიული განათლების მასწავლებლემა, აკაკი სტურუამ სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინაციით ჩაატარა ღია ლექცია თემაზე „პარლამენტის მოდელირება“. ლექციაში მონაწილეობდნენ „Front-end დეველოპმენტისა“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტები და №192 საჯარო სკოლის მოსწავლეები. ლექციის ფარგლებში განხილულ იქნა სამი კანონპროექტი:
1. 16 წლამდე მოზარდებისთვის სოციალური ქსელების შეზღუდვა,
2. სკოლებში სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის კლასებში ვიდეოკამერების დაყენება;
3. მოზარდებში დანაშაულზე რეაგირება.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საჯარო ლექცია თავისი ფორმატითა და შინაარსით იყო არამხოლოდ სასწავლო პროცესისა და სწავლების მეთოდების გამოყენების დემონსტრირება, არამედ პროფესიული ოროენტაციის ხასიათის ღონისძიება, რომლის ფარგლებში, სტუმრად მოსულმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მოკლე ინფორმაცია პროფესიული განათლების შესახებ;

28.04.2026 - „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტებმა, საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში დამსაქმებელთან შპს „პრემიერაში“ შეძენილი ცოდნა შეაჯამეს, საჯარო ლექციაზე სტუდენტებმა წარმოადგინეს მათ მიერ შექმნილი ნამუშევრები, რაც სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის საუკეთესო დემონსტრირება იყო. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო შპს „პრემიერას“ წარმომადგნელების მიერ სტუდენტთა შეფასება, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაზე მეტყველებს. საჯარო ლექციას ორგანიზება გაუწიეს პროფესიული განათლების მასწავლებლებმა მაია გრიგალაშვილმა, ხათუნა ფარეიშვილმა და გულნარა ელიავამ;

30.04.2026 – „აზმოვით - ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის N290 ჯგუფმა პროფსიული განათლების მასწავლებლების, რევაზ

თოლორდავასა და დავითი სოლომნიშვილის ხელმძღვანელობითა და პარტნიორი კომპანია შპს „ტერაგრაფიკის“ ჩართულობით საჯარო პრაქტიკული მეცადინეობის ფარგლებში, პროფესიულმა სტუდენტებმა ჩაატარეს გლდანის პატარა ტბის ტერიტორიის აზომვით - ტოპოგრაფიული სამუშაოები, დრონის საშუალებით განახორციელეს აეროფოტოგადაღება და მიღებული მონაცემების საფუძველზე მოამზადეს ტოპოგრაფიული გეგმა და ახალი ორთოფოტო. გარდა ამისა, პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის ორთოფოტო, რომლის 3D მოდელი სპეციალიზებული პროგრამების გამოყენებით იყო დამუშავებული, მის საფუძველზე კი 3D პრინტერის გამოყენებით დაიბეჭდა ჯვრის მონასტრის მაკეტი. აღნიშნული მაკეტები და მტკიცებულებები გამოიფინა კოლეჯის სივრცეში;

04.05.2026წ - „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის N290 ჯგუფმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა, ლელა მაისურაძის ხელმძღვანელობით წარმოადგინა სწავლების პროცესში შექმნილი პორტფოლიოები. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მათ მიერ შექმნილი საკუთარი წიგნების დიზაინისა და ორგანიზაციებისთვის შექმნილი პოსტერებისა და სხვადასხვა გრაფიკული დიზაინით შექმნილი სარეკლამო ბროშურები;

25.05.2026 – „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის N284 ჯგუფის სტუდენტებმა პროფესიული განათლების მასწავლებლის, ცირა მენთეშაშვილის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს პრეზენტაციები სიმულაციური ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების ფარგლებში. სტუდენტებმა შექმნეს ფინანსური დოკუმენტაცია და აწარმოეს ბუღალტრული ანგარიშგება;

26.06.2026 - „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის N271 ჯგუფმა პროფესიული განათლების მასწავლებლის, ლელა მაისურაძის ხელმძღვანელობით მოდულის „პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის“ ფარგლებში გამართა ღია ლექცია, სადაც პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს საკუთარი პროექტები. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ერთ-ერთი პროფესიული სტუდენტის მიერ შემოქმედებითი და დარგობრიცი ცოდნისა და უნარების დემონსტრირება.

- **შედეგი: შესრულდა**

სტრატეგიული მიზანი III - სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა:

- **ამოცანა -** *ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა*

- **აქტივობა -** *სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების განხორციელება და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების შეთავაზება*

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მუდმივად ცდილობს სასწავლო პროცესში დანერგოს სიახლეები, თანემედროვე ტექნოლოგიები და სწავლების მეთოდები. დაწესებულება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა („ინფორმაციის ტექნოლოგია, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“) და მოდულების („ინფორმაციული წიგნიერება 1“) სწავლებისას ინტენსიურად იყენებს VR სათვალეს, რის საშუალებითაც სიმულაციურად მიმდინარეობს კონკრეტული დარგის სპეციფიკის სწავლება.

„მეცნიერება დ ტექნოლოგიების“ მოდულის ქიმიის კომპონენტის სწავლება ხდება ვირტუალური ლაბორატორიით, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით გაეცნონ დარგს.

გარდა აუდიტორიული სწავლებისა, პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად სარგებლობენ გასვლითი მეცადინეობებით. 2026 წლის 15 მარტს ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“, პროფესიული განათლების მასწავლებელმა გურამ დავითლიძემ მეცადინეობა ჩაატარა მთაწმინდის პანთეონსა და მის შემოგარენში. პროფესიულმა სტუდენტებმა მამა დავითის ეკლესიის ტერიტორიაზე იმსჯელეს ქართულ მწერლობასა და ლიტერატურის საკითხებზე.

- **შედეგი: შესრულდა**

- **ამოცანა** - *სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება*

- ✓ **აქტივობა** - *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვა პროფესიული განათლების მასწავლებელთან, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების განმახორციელებელთან ერთად*

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ფარგლებში მუდმივად ხორციელდება კოლეჯში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მოზადების/პეოფესიული გადამზადების პროგრამების მონიტორინგი, რომლის ფარგლებში სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები ზედამხედველობენ სასწავლო პროცესის - ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობებისა და სწავლის შედეგების დადასტურების მიმდინარეობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი სისტემატურად ესწრება როგორც მეცადინეობების, ისე შეფასების პროცესს. აღნიშნული აქტივობა ითვალისიწინებს ჩატარებული მეცადინეობები რამდენად შეესაბამება მოდულით გათვალისწინებულ საკონტაქტო საათებს, თავსებადია თუ არა სასწავლო გარემო მოდულის სწავლის შედეგებთან, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია თუ არა შესაბამისი რესურსებით (მატერიალური, საგანმანათლებლო/სასწავლო, მასალა-ნედლეული), პროგრამის მიმდინარეობისას გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები არის თუ არა იდენტური მოდულში არსებულ ჩანაწერებთან. მონიტორინგის ჯგუფი ადგენს ოქმებს, სადაც აღწერილია დასწრების შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს, რომელსაც აცნობს პროფესიული განათლების მასწავლებელს სასწავლო პროცესის უფრო ეფექტიანად და ხარისხიანად წარმართვის მიზნით. კოლეჯში ასევე შექმნილია მუდმივმოქმედი კომისია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით, რომელიც აწარმოებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტაციას. კომისია შეისწავლის სწავლის შედეგების დადასტურებაზე პროფესიული სტუდენტების დასწრებასა და შეფასების სტატისტიკას. ასევე კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის თანახმად, ვალიდაციის ჯგუფი ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი მოდულების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობა მოწმდება სპეციალურად შემუშავებული ჩეკლისტით. გარდა ამისა, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში საზღვრავს ვერიფიკაციის პერიოდს, რა დროსაც მოწმდება შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. ვერიფიკაციის ჯგუფი გამოვლენილ გარემოებებს ვერიფიკაციის დასკვნის პროექტების სახით აცნობს სასწავლო პეროცესის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტსა და სასწავლო პროცესის სპეციალისტს, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები კი თავის მხრივ, ინდივიდუალურ რეჟიმში აცნობენ შედეგებს მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, ვერიფიკაციის ჯგუფი შეიმუშავებს

ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნებს. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები შემდგომში აისახება შეფასების ინსტრუმენტებში, რაც საშუალებას იძლევა, გაუმჯობესდეს სტუდენთა შეფასების პროცესი და ზოგადად, სასწავლო პროცესი.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის თანახმად, დაგეგმილ ვადებში ხორციელდება სასწავლო პროცესში ჩართული პირების მიერ კომპლექსური დავალებებისა და პორტფოლიოების გადახედვა და პროფსიული განათლების მასწავლებლებისათვის რეკომენდაციების გაცემა, ასევე ხდება დადასტურების კომისიების მოწვევა სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციიდან (დარგის პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციის თანამშრომლები), რომლებიც განიხილავენ პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოებს.

2026 წლის იანვარი - ივნისის პერიოდში მონიტორინგი ჯგუფი დაესწრო „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, „სამკერვალო წარმოების“, „გრაფიკული დიზაინის შესრულების“, „front end დეველოპმენტის“, ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფებს როგორც პროფესიული, ისე ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში. ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები, გააცნო განმახორციელებელ პირებს და მოისმინა მათი უკუკავშირი.

- **შედეგი: შესრულდა**

- **ამოცანა** - *თანამშრომლობის გააქტიურება კოლეჯებსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან*

- ✓ **აქტივობა** - *პოტენციურ დამსაქმებლებთან აქტიური კომუნიკაციის დამყარება, პროფესიული სტუდენტებისთვის დარგის სიახლეების გაცნობა*

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს ბიზნესთან, სხვადასხვა სფეროს კომპანიებსა და ორგანიზაციებთან. ბიზნეს სექტორი პერიოდულად სთავაზობს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ვაკანსიებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესიული სტუდენტებისათვის საერთაშორისო შესაძლებლობის შეთავაზება, კერძოდ: 2026 წლის თებერვალში სსიპ - კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მენეჯერი შეხვდნენ ჩინეთის რესპუბლიკის სიჩუანის პროვინციის ქალაქ ნანჩონგის პროფესიული და ტექნიკური კოლეჯის წარმომადგენლობას და შეთანხმდნენ ურთიერთანამშრომლობაზე. ქალაქ ნანჩონგის პროფესიული და ტექნიკური კოლეჯი არის სახელმწიფო პროფესიული სასწავლებელი, რომელსაც მინიჭებული აქვს „საუკეთესო კოლეჯის“ სტატუსი ჩინეთის განათლების სამინისტროს მიერ პროფესიული კოლეჯების კადრების მომზადების შეფასების კუთხით. ორ კოლეჯს შორის თანამშრომლობის ფარგლებში გამოცხადდა ათი დაფინანსებული სასტიპენდიო ადგილი ოთხ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით, ესენია: „კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „ინდუსტრიული რობოტიკა“, „ტურიზმის მენეჯმენტი“ და „ვეტერინარია და მეცხოველეობა“. ურთიერთთანამშრომლობის ამ ეტაპზე შეირჩა ორი პროფესიული სტუდენტი, რომლებიც 2027 წელს ჩინეთის რესპუბლიკაში შეისწავლიან ინდუსტრიულ რობოტიკას პროფესიულ შემდეგში დასაქმების პერსპექტივებით.

2026 წლის ივნისში შედგა შეხვედრა სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისა“ და შპს „თბილი სახლის“ წარმომადგენლებს შორის, სადაც განხილული იყო რეალურ სამუშაო გარემოში ეფექტიანად სწვალების სტრატეგიები და პარტნიორობის გაღრმავების პერსპექტივები, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ შპს „თბილი სახლი“ კოლეჯთან თანამშრომლობს სასწავლო საწარმოს სტატუსით, „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურების“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. პარტიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა პროფესიული სტუდენტებთან მოაწყვეს საქმიანი შეხვედრა.

- **შედეგი: შესრულდა**

სტრატეგიული მიზანი IV - პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა:

- **ამოცანა** - *პროფესიული სტუდენტის სერვისების განვითარება, კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების ორგანიზება*

✓ **აქტივობა** - *პროფესიული სტუდენტის უფლებების გაცნობა*

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების სერვისების განვითარებასა და უფლებების დაცვაზე. პროფესიული სტუდენტების უფლებების გაცნობასთან დაკავშირებით, როგორც წესი, კოლეჯი თითოეული მიღების ფარგლებში სწავლის დაწყებიდან უახლოეს პერიოდში აორგანიზებს გაფართოებულ შეხვედრას, თუმცა, სასწავლო წლის განმავლობაში კოლეჯის ხელმძღვანელობა და ადმინისტრაცია საჭიროებისამებრ აწვდის ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის უფლებების შესახებ. მარეგულირებელი აქტები საჯაროდ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე, სასწავლო და შედეგების დადასტურების ცხრილები გამოკრულია კოლეჯის საინფორმაციო დაფაზე, გააქტიურებულია ელექტრონული ფოსტითა და სოციალური მედიის პლატფორმების საშუალებით ინფორმაციის გაცვლა.

- **შედეგი: შესრულდა**

✓ *პროფესიული სტუდენტებისთვის გამოკითხვა*

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ხარისხის მართვის მენეჯერი ერთწლიანი სამოქმედო და ხარისხის უზრუნველყოფის გეგმების ფარგლებში ყოველწლიურად ატარებს პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას. კვლევის კითხვარი მრავალპროფილურია და მათ შორის მოიცავს საკითხებს პროფესიული სტუდენტის უფლებებთან მიმართებით. 2026 წლის მარტი-აპრილის პერიოდში ჩატარდა მორიგი გამოკითხვა, გაანალიზდა შედეგები, გაიცა რეკომენდაციები და შემდგომი რეაგირების მიზნით წარედგინა კოლეჯის დირექტორს. აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების დინამიკა საკმაოდ დადებითია.

- **შედეგი: შესრულდა**

✓ **აქტივობა** - *დასაქმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება*

2026 წლის თებერვალში სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ შედგა შეხვედრა შპს „ქარ ფოინთი“ / Car Point LLC-ის წარმომადგენლებთან, რომლებმაც პროფესიულ სტუდენტებს წარუდგინეს მათი კომპანია. უფრო კონკრეტულად, კი გააცნეს ორგანიზაციის საქმიანობა ავტომობილების შეკეთების მიმართულებით. აღინიშნა, რომ კომპანია სტუდენტებს პერიოდულად დასაქმების შესაძლებლობებსაც შესთავაზებს. დაიგეგმა შემდეგი თანამშრომლობის გეგმები.

- **შედეგი: შესრულდა**

✓ **აქტივობა** - *დამატებითი, არაფორმალური ღონისძიებების ორგანიზება*

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მუდმივად თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციასთან არაფორმალური ღონისძიებების

ორგანიზების კუთხით. კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ყოველ წელს აქტიურად გეგმავდა დამატებით, არაფორმალურ ღონისძიებებს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდისთვის აღნიშნული პოზიცია კოლეჯში ვაკანტურია, არაფორმალური ღონისძიებები მასშტაბურად არ ჩატარებულა. კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, თეა ორმოცაძის ორგანიზებით, აუტიზმის ცნობადობის დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „დავინახოთ შესაძლებლობები და არა შეზღუდვები“, რომლებსაც ესწრებოდნენ პროფესიული სტუდენტები. კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, თეა ორმოცაძის მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის ცნობადობის დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ფსიქიკური ჯანმრთელობა - გზა საკუთარი თავის გაცნობიდან კეთილდღეობამდე", საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორპსის“ ორგანიზებით კოლეჯში გაიმართა ორდღიანი ტრენინგი თემებზე „ონლაინ ძალადობის პრევენცია და პირადი მონაცემების დაცვა“ და „შესავალი ელექტრონულ კომერციაში“, კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, გიორგი ბარნოვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე „სახანძრო უსაფრთხოება“, სადაც მონაწილეობა მიიღეს პროფესიულმა სტუდენტებმა და პრაქტიკულად განახორციელეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნორმები.

- **შედეგი: ნაწილობრივ შესრულდა**

სტრატეგიული მიზანი V - დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა:

- **ამოცანა** - *სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ფუნქციონირება*

- ✓ **აქტივობა** - *სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიის მუდმივი განვითარება*

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ბაზაზე ფუნქციონირებს სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორია (ფაბლაბი), რომელიც ძირითადად ემსახურება „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტებს, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია კოლეჯის საქმიანობის საჭიროებების გათვალისწინებით.

ფაბლაბში განახლდა CO_2 ლაზერული დანადგარის პროგრამული უზრუნველყოფა - დაინსტალირდა მომსახურების პროგრამის ახალი ვერსია, რამაც გააუმჯობესა დანადგარის მუშაობის ხარისხი და ხელი შეუწყო მისი სამუშაო პროცესის გახანგრძლივებას. ასევე განახლდა CNC რუტერის მართვის კონტროლერის/ჯოისტიკის პროგრამული ვერსია. აღნიშნულმა განახლებამ უფრო უსაფრთხო გახადა დანადგართან მუშაობის პროცესი, რაც სამომავლოდ გაამარტივებს სტუდენტებისთვის მისი მართვისა და პროგრამირების შესწავლას.

„ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი ინიციატივით ფაბლაბში დაინერგა ინოვაციური, სტუდენტური ნამუშევრების NFC ტექნოლოგიის გამოყენებით დაჩიპვის მეთოდი. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ ფაბლაბში შექმნილ დასრულებულ ნამუშევარში მიკროჩიპის მოთავსებას, რომელიც წინასწარ პროგრამირდება შესაბამისი ინფორმაციით. ტელეფონის ჩიპთან მიახლოებისას ავტომატურად იხსნება სტუდენტის პორტფოლიო, ან სპეციალურად მომზადებული საინფორმაციო გვერდი, სადაც წარმოდგენილია ნამუშევრის ავტორი, შექმნის პროცესი, გამოყენებული მასალები, დანადგარები და მუშაობის ეტაპები. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტების ნამუშევრების თანამედროვე ფორმით წარმოჩენას, სასწავლო პროცესის გაციფრულებასა და ფაბლაბში შექმნილი პროექტების ინტერაქტიულ პრეზენტაციას. ასევე, პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ნამუშევრები წარმოადგინონ არა მხოლოდ ვიზუალურად, არამედ ციფრული პორტფოლიოსა და სამუშაო პროცესის აღწერის მეშვეობით, რაც ერთი ორად ზრდის მათ მოტივაციას უკეთ შეისწავლონ პროფესია.

ინოვაციური პრაქტიკის დანერგვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ფაბლაბის სასწავლო პროცესის განვითარებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციის მიმართულებით. მსგავსი მიდგომა ამ ეტაპზე პროფესიული კოლეჯების სივრცეში ნაკლებად არის გავრცელებული, რაც აღნიშნულ ინიციატივას გამორჩეულ და საინტერესო საგანმანათლებლო პრაქტიკად აქცევს.

- **შედეგი: შესრულდა**

✓ **აქტივობა** - *ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით ინოვაციური ბიზნესპროექტების იდენტიფიცირება და განვითარება*

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ ატიურად თანამშრომლობს ბიზნეს სექტორთან, თუმცა მიუხედავად სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ფარგლებში შექმნილი უამრავი პროდუქტისა, ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა ინოვაციური ბიზნესპროექტების იდენტიფიცირება და ბიზნეს სექტორის დაინტერესება ამ მიმართულებით.

- **შედეგი: ვერ შესრულდა**

სტრატეგიული მიზანი VI - ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების განვითარება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად:

➢ **ამოცანა** - *ტექნოლოგიების განვითარების ზრდასთან ერთად ტექნიკური რესურსის საჭიროების დადგენა*

✓ **აქტივობა** - *კოლეჯის თანამედროვე ტექნიკური რესურსით აღჭურვა*

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრმა“ 2025 წლის დეკემბერში წარმატებით მოიპოვა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. რეავტორიზაციის მზადების ფარგლებში კოლეჯმა სრულად განაახლა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა, საკერავი მანქანები და სხვა) კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. კოლეჯი ამჟამად გეგმავს ახლად დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შექმნილი სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებისა“ და „მსუბუქი ავტომობილის შიგაწვის ძრავას შეკეთების“ დამატებას, რომლის ფარგლებშიც მუშაობს საჭირო რესურსების შესაძენად.

- **შედეგი: ვერ შესრულდა**

სტრატეგიული მიზანი VII – პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა:

➢ **ამოცანა** - *არაფორმალური პროფესიული განათლების მექანიზმების ამოქმედება*

✓ **აქტივობა** - *ადგილობრივი თვითმმართველობებისა და კერძო სექტორის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა*

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ ყოველთვის გამოთქვამს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს ან მხარდაჭრა გამოუცხადოს თვითმმართველობების, სახელმწიფო და/ან კერძო სექტორის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს.

მოხალისეთა ორგანიზაციის „ახალგაზრდობა და ვეტერანები ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის“ ინიციატივით 2026 წლის მარტში კოლეჯში გაიმართა შეხვედრა პროფესიულ

სტუდენტებთან, რომელთაც გააცნეს ინფორმაცია დაწესებულების მოსამზადებელი კურსებისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს ერთობლივი პროექტების განხორციელებას და პროფესიულ სტუდენტებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის, თავდაცვის კულტურისა და აქტიური მოქალაქეობრივი თვითშეგნების განვითარებას.

ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონკურსის „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვისა და განვითარების" ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს კოლეჯმა არაერთხელ უმასპინძლა. 2026 წლის აპრილში კოლეჯში შედგა გამარჯვებული პროექტის „დებატების კლუბის" ღონისძიება, რომელიც ეძღვნებოდა დებატების ტექნიკის სწავლებისა და პროფესიულ განათლებაში მისი მნიშვნელობის საკითხებს.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. ამ თანამშრომლობის ფარგლებში კოლეჯი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამის „ისწავლე და დასაქმდი" 2026 წელს პირველი მიღების ფარგლებში ახორციელებს შემდეგ 3 საგანმანათლებლო პროგრამას:

- სოციალური მედიის მართვა;
- ინტერიერის დიზაინი - 3Ds Max;
- ტანსაცმლის დიზაინი და კერვა

გარდა ამ პროგრამებისა, „ისწავლე და დასაქმდი" ფარგლებში კოლეჯმა დაფინანსება მოიპოვა 3 ინოვაციურ მოკლევადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- გეოსაინფორმაციო სისტემების გამოყენება გარემოსდაცვითი რისკების შეფასებისთვის;
- მაღალსართულიან შენობათა ფონდის მოვლა-პატრონობის უმცროსი ტექნიკოსი;
- განახლებად ენერგოსისტემებზე ოპერირებული ჰიბრიდული ენერგოცენტრალების მონტაჟისა და მოვლა-პატრონობის სპეციალისტი.
  - **შედეგი: შესრულდა**

- **ამოცანა** - *პროფორიენტაციის ღონისძიებების ორგანიზება*

- ✓ **აქტივობა** - *ვიზიტები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სხვადასხვა ორგანიზაციებში, „ღია კარის" ორგანიზება კოლეჯში*

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს" გაცნობიერებული აქვს რა პროფესიული განათლების პოპულარობის გაზრდის აუცილებლობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში, პროფორიენტაციის ფარგლებში კოლეჯში 2026 წლის იანვარი - ივნისის პერიოდში რეგულარულად იმართებოდა „ღია კარის" დღეები, გაცნობითი ტურები და საინფორმაციო შეხვედრები. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები (2026 წლის თებერვალში კოლეჯში სტუმრად იმყოფებოდა თბილისის N192 საჯარო სკოლა, მარტში - შპს სკოლა-ლიცეუმი „პრომეთე", და თბილისის N45 საჯარო სკოლა, აპრილში - თბილისის N132 საჯარო სკოლა, მაისში - თბილისის N71 საჯარო სკოლა და თბილისის საერთაშორისო სკოლა) და სხვა დაინტერესებული პირები. ვიზიტების ფარგლებში სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ კოლეჯის ინფრასტრუქტურას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო გარემოს, რეგისტრაციის პირობებსა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. აღნიშნული შეხვედრები და გაცნობითი ტურები ხელს უწყობს პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებას.

❖ **შედეგი: შესრულდა**

✓ **აქტივობა** - *ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით კოლეჯის აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარება*

კოლეჯში საქიანობის, სასწავლო პროცესის, სტუდენტური მიღწევებისა და მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალური ქსელების გვერდებზე (Facebook, Instagram, TikTok), რაც ხელს უწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, დაინტერესებული პირების ინფორმირებასა და ჩართულობის ზრდას. ამავე არხების საშუალებით რეგულარულად შუქდება ინფორმაცია კოლეჯში განხორციელებული ღონისძიებების, მათ შორის ტრენინგების, ღია ლექციების, შეხვედრების, სტუდნტური გამოფენების, სოციალური და საქველმოქმედო ინიციატივების, კარიერული შესაძლებლობებისა და გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ.

საზოგადოებაში პროფესიული განათლების ცნობადობის გაზრდისა და სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პოპულარიზაციის მიზნით, დაწესებულების მიერ სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისა და კოლეჯის მნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ. მათ შორის პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს, პროფესიული სტუდენტის გამარჯვების, WorldSkills საქართველოს ეროვნულ კონკურსში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და სასტიპენდიო შესაძლებლობების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯისთვის შეიქმნა ვებგვერდის ახლებური ვერსია, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია კოლეჯის ციფრული ტრანსფორმაციისა და საკომუნიკაციო გარემოს განვითარების მიმართულებით. ვებგვერდის ახალმა დიზაინმა უზრუნველყო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამარტივება, მომხმარებელზე მორგებული ფუნქციონალით ხელი შეუწყო კოლეჯის საქმიანობის ეფექტიანად წარმოჩენას, პროფესიული განათლების პოპულარიზაციასა და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებას.

❖ **შედეგი: შესრულდა**

✓ **აქტივობა** - *საინფორმაციო - სარეკლამო კამპანიის წარმოება*

კოლეჯის პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით, სისტემატურად იგეგმება და ხორციელდება საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიები. მზადდება და ვრცელდება მრავალფეროვანი საინფორმაციო და სარეკლამო მასალა, მათ შორის ბუკლეტები, პროგრამების კატალოგი, ბროშურები, ბანერები, თემატური და საიმიჯო პოსტერები ანიმაციური ვიზუალებით, ვიდეორგოლები და სხვა ციფრული საინფორმაციო მასალები.

2026 წლის პირველ ნახევარში აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში განახლდა პროფესიული განათლების მასწავლებლების საიმიჯო პოსტერები, რამაც უფრო ნათლად წარმოაჩინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების საქმიანობა. ფოტო-ვიდეო მასალა დამუშავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების სრული დაცვით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროგრამების პოპულარიზაციას, რეგისტრაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და პროფესიული განათლების შესაძლებლობების წარმოჩენას. ამ მიზნით მზადდება საინფორმაციო-სარეკლამო პოსტები, ვიდეომასალები და სტუდენტური მიღწევებისა და კოლეჯის საქმიანობის შესახებ საინფორმაციო მასალა. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო გარემოსა და ინფრასტრუქტურის წარმოსაჩენად აქტიურად გამოიყენება საიმიჯო ვიდეორგოლები, მათ შორის ვირტუალური ტურის ფორმატით, რომელიც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს დეტალურად გაეცნონ კოლეჯის საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და სასწავლო გარემოს.

პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მზადდება პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშემწყობი ვიდეომასალები. ერთ-ერთი ასეთი მასალათაგანია კომპანია „დიოს“ მონაწილეობით შექმნილი საინფორმაციო ვიდეორგოლი, რომელიც ორიენტირებულია მოთხოვნადი პროფესიისა და დასაქმების შესაძლებლობების წარმოჩენაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მიერ მომზადდა სიუჟეტი კოლეჯის შესახებ, სადაც წარმოდგენილი იყო ინფორმაცია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო გარემოს, სტუდენტური შესაძლებლობებისა და პროფესიული განათლების მნიშვნელობის შესახებ.

- **შედეგი: შესრულდა**

- ✓ **აქტივობა** - *პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა*

პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, მათ შორის საგანმანათლებლო, შემეცნებით, სოციალურ თუ კულტურულ ღონისძიებებას. დაწესებულება ახორციელებს და წარმატებით ერთვება პროფესიული განათლების სისტემაში არსებულ პროექტებში, რაც თავის მხრივ პროფესიული განათლების ცნობადობის ზრდის ინდიკატორია. წარმატების ერთ-ერთი ასეთი მაგალითია სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კონკურსში „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის, შორენა შონიას წარდგენა და აქტიური საინფორმაციო მხარდაჭერის გაწევა. გარდა ამისა, მიმდინარე პერიოდში კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა კერძო სექტორთან, სხვადასხვა ორგანიზაციებსა და პარტნიორ ინსტიტუციებთან. კერძო სექტორთან თანამშრომლობის ფარგლებში 2026 წლის თებერვალში შპს „ქარ ფოინთი“ / Car Point LLC-ის წარმომადგენლები სტუმრად იმყოფებოდნენ კოლეჯში და პროფესიულ სტუდენტებს გააცნეს თავიანთი კომპანია. დაწესებულებაში სისტემატურად იმართება სტუდენტური გამოფენები, ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებების, ფსიქიკური კეთილდღეობის, ონლაინ უსაფრთხოებისა და პროფესიული განვითარების შესახებ თემატური ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები და ღია ლექციები.

- **შედეგი: შესრულდა**